საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 69252202**
თარიღი:**08/08/2025**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“- ს 45–ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 05 აგვისტოს №05/08/01 განკარგულების გათვალისწინებით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო უბნების მიხედვით განისაზღვროს შეხვედრის ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სუბიექტების ამომრჩეველებთან შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 3.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი